...единяйтесь!

# ახალი შირაქი
# Ахали Ширaки

საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.
Орган Цителцкаройского райкома Коммунистической партии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

№ 27 (1 593) | პარასკევი ПЯТНИЦА | 2 მარტი МАРТ | 1956 წ. г. | ფასი ЦЕНА 15 კაპ. Коп.

## მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და მის საპასუხოდ ახალ შრომით ვალდებულებებს იღებენ

## პროპაგანდისტები ახალი ამოცანების წინაშე

25 თებერვალს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო ცხოველი ხასიათი მიიღო. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით შთაგონებულმა ჩვენი რაიონის მშრომელებმა ყრილობის მუშაობის დღეებში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

დღეს ჩვენი რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესით ეცნობიან პარტიის XX ყრილობის მასალებს. ამ დღეებში შირაქის მტს-ის მექანიზატორებმა, გაეცნენ რა ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ყრილობის მასალები ახალი საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე აყენებს რაიონის პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, მათი ვალია ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობით უპასუხონ ჩვენი ადამიანების სურვილს—ღრმად შეისწავლონ ყრილობის მასალები.

წარმატებით შეუდგნენ ყრილობის მასალების შესწავლას პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული კომუნისტები და კომკავშირელები. ახლა წრეებში მეცადინეობები დაეთმობა ყრილობის მასალების შესწავლას. პროპაგანდისტები ფართოდ განუმარტავენ მსმენელებს ყრილობის გადაწყვეტილებებს და არა მარტო აცნობენ მათ ამ მასალებს, არამედ პრაქტიკულად უჩვენებენ, თუ როგორ უნდა იბრძოლონ ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. აღნიშნა რა ამ საქმეში მოპოვებული წარმატებანი, ყრილობამ ახალი ამოცანები დაუსახა ჩვენს პროპაგანდისტებს. „რევოლუციური თეორია,—თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე,—არის არა გაყინული დოგმებისა და ფორმულების კრებული, არამედ საბრძოლო სახელმძღვანელო პრაქტიკული საქმიანობისა სამყაროს გარდაქმნისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის. მარქსიზმ-პრაქტიკისაგან მოწყვეტილი თეორია მკვდარია, ხოლო პრაქტიკა, თუ იგი რევოლუციური თეორიით არ არის გაშუქებული—ბრმაა“.

ჩვენმა პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ისე უნდა მოაწყონ თავიანთი მუშაობა, რომ იგი აქტიურად ეხმარებოდეს მშრომელთა შემოქმედებით შრომას. აცნობ რა მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს, ამავე დროს პრაქტიკულად უნდა უჩვენებდე, თუ როგორ გამოიყენონ მათ ეს გამოცდილება თავიანთ საქმიანობაში. ამისათვის კი საჭიროა აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ღრმად შეისწავლონ ცხოვრება, იცოდნენ არა მარტო ესა თუ ის თეორიული დებულება, არამედ კონკრეტული ეკონომიკაც.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

## დოლი მასიურად გაჩაღდა

რაიონის მეცხვარეობის ფერმების მუშაკები, რომლებიც [illegible] ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალი ძალით [illegible] ცხვრის სულადობის [illegible] და მისი პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის.

[illegible] კოლმეურნეობების ყველა ფერმაში დოლი მასიურად გაჩაღდა.

როგორც ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. დარჩიაშვილი გვატყობინებს, 1 მარტისათვის ფერმაში მიღებული და შენარჩუნებულია 1.533 ბატკანი.

ამავე რიცხვისათვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში მიღებულია 2.100 ბატკანი.

დოლი ორივე ფერმაში წარმატებით გრძელდება.

## ლაპარაკობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები

პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში გაიმართა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ XX ყრილობის მუშაობის დამთავრებას.

მიტინგი გახსნა სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ლ. დოიჯაშვილმა.

ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი გ. ჩუბინიძე.

— უდიდესი სიხარულის გრძნობით,—თქვა მან,—შეხვდა ყველა საბჭოთა ადამიანი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. პარტიის ყრილობამ დასახა მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების დიდებული პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებებში ნაჩვენებია საყოველთაო მშვიდობისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის [illegible] მხურვალედ იწონებენ რა ამ გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ თავიანთ ძალებს, ენერგიას იმას მოახმარებენ, რომ შეასრულონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

სიტყვა ეძლევა მეცნიერების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ს. მიქაძეს. იგი ამბობს, რომ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებისათვის ზრუნვით. დღეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები. ჩვენი მოვალეობაა ყველაფერი გავაკეთოთ ამ ამოცანების შესასრულებლად.

მიტინგის მონაწილეებმა მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მათ აღუთქვეს პარტიას, რომ ყოველ ღონის იხმარენ [illegible]

(საქდესი).

## XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად

შირაქის მტს-ის მექანიზატორებმა და მუშა-მოსამსახურეებმა აღფრთოვანებით განიხილეს პარტიის XX ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობისა და საბჭოთა ადამიანების კულტურული და მატერიალური დონის ამაღლების გრანდიოზული ამოცანებია დასახული და პარტიის ისტორიული გადაწყვეტილებების პასუხად ახალი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

—პარტიის XX ყრილობამ,—თქვა № 7 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ი. მელიქიშვილმა—მექანიზატორებს უდიდესი ამოცანები დაგვისახა. ჩვენი ვალია კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების ნაცადი დროშა და ბოლომდე ღირსეულად ვატაროთ იგი. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვიღებ დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები, სათოხნი კულტურები დავთესოთ მხოლოდ [illegible] ულის მოსავალი, თვითეულ ჰექტარზე გავლეწოთ 20 ცენტნერი მარცვლეული.

—პარტიის XX ყრილობის დამთავრების პასუხად,—აღნიშნა № 2 ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ბ. ბოსტოღანაშვილმა,—ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი, რომ წლიური გეგმა 130 პროცენტით შევასრულოთ 7 ნოემბრისათვის, დავზოგოთ 5 ტონა საწვავ-საცხები მასალა.

გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი აიღეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა დ. გოგილაშვილმა, ა. სვარიძემ, ა. ნატროშვილმა და სხვებმა.

შირაქის მტს-ის მექანიზატორები ყველაფერს გააკეთებენ ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის.

**ნ. ალადაშვილი,**
შირაქის მტს-ის პარტბიუროს მდივანი.

## რუსთავის მეტალურგთა სიტყვა

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში იმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი საუბრები. ერთსულოვნად იწონებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეტალურგები ამბობენ, რომ მზად არიან თავდადებით იბრძოლონ პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

დადგნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე, ქარხნის მუშაკებმა ახალ-ახალი წარმატება მოიპოვეს. მარტენის საამქროს კოლექტივმა თებერვალში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 5.000 ტონაზე მეტი ფოლადი.

მეფოლადე ა. ზარიძემ, რომელმაც ვადამდე შეასრულა თებერვლის გეგმა და 450 ტონა ფოლადი გამოუშვა, გეგმის გადამეტებით, საუბრის დროს განაცხადა:

—პარტიის ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მთლიანად შეესაბამებიან ხალხის ინტერესებს, მათი მიზანია ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცება. მეექვსე ხუთწლიანი გეგმა პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს მეტალურგიული მრეწველობის მუშაკებს. საქართველოს მეტალურგები პირობას აძლევენ პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ დაუღალავად იშრომებენ, რათა პირნათლად შეასრულონ ეს ამოცანები.

(საქდესი).



სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში წელს 14.000-ზე მეტ დედაცხვარს დაადოლებენ. აქ მასიურად დაიწყო დოლი, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს.

მეცხვარეობის ფერმის ყველა მწყემსი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ ცხვრის პროდუქტიულობის და სულადობის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულოს, ამით ხელი შეუწყოს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო გეგმების ვადამდე განხორციელების საქმეს. მაჩხაანელი მეცხვარეები ყოველ თავისუფალ დროს გულმოდგინედ სწავლობენ სკკპ XX ყრილობის მასალებს.

სურათზე: კოლმეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი შ. ფერაძე მწყემსებს უკითხავს პარტიის XX ყრილობის მასალებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

# მტს-ი მზადაა კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის

პარტიის XX ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში უდიდესი შეფასება მისცა სიმინდის კულტურას და მოითხოვა ამ კულტურის წარმოების მკვეთრად გადიდება.

გამარჯვების მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა, რომელიც გულდასმით გაეცნო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიან გეგმას და შეუდგა XX ყრილობის მასალების შესწავლას, გააძლიერა მუშაობა საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

ჩვენმა მექანიზატორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სიმინდის წარმოების გადიდების საკითხს, რადგან უკანასკნელი 2 წლის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მართლაც სიმინდის წარმოების გადიდებამ და მისმა გამოყენებამ პირუტყვის საკვებად, მომსახურების კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად აამაღლა წველადობა. მაგალითად, 1954 წელს, როცა პირუტყვის საკვებში უმნიშვნელო ადგილი ეკავა სიმინდს, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 499,8 კილო-[illegible] თეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 1.008,6 კილოგრამი რძე მოწველეს. მიმდინარე სამეურნეო წლის 4 თვეში კიდევ უფრო ამაღლდა წველადობა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მატებამ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 163,9 კილოგრამი შეადგინა.

სიმინდის სათესი ფართობისა და მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის მტს-ის კოლექტივმა გააძლიერა მზადება: მოეწყო ტრაქტორისტების, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირების, მთესავების, კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირებისა და აგრონომების ერთკვირიანი სემინარი კვადრატულ-ბუდობრივი თესვის საკითხებზე.

სემინარზე „კვადრატულ-ბუდობრივი სათესის დაყენება და მისი ნორმალურად მუშაობის მოწყობის შესახებ“ ლექცია წაიკითხა მტს-ის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსმა გ. ჯანაშვილმა,— „კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის უპირატესობა მოსავლიანობის გადიდების საქმეში“—მტს-ის მთავარმა აგრონომმა ამხ. გ. კოვზირიძემ.

სემინარის მონაწილეები პრაქტიკულად გაეცნენ კვადრატულ-ბუდობრივი სათესის აწყობისა და სწორად დაყენების საქმეს, პრაქტიკულად შეისწავლეს აგრეთვე ნიადაგის მომზადებისა და დაგეგმვის წესები.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე იმუშავებს 8 სათესი მანქანა. ყველა ისინი მომზადებული და დაკომპლექ-[illegible] შუალებას მისცემს ნათესები მექანიზებული წესით დაამუშაონ და კიდევ უფრო აამაღლონ სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა.

**ი. ყორჩაშვილი,**
პარტბიუროს მდივანი.

# სალი დოლი

ცხვრის დოლი 10 თებერვალს მასიურად დაიწყო სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში. სალი დოლით გახარებული მწყემსები მზრუნველობით უვლიან ჩვილ ბატკნებს. აქ 28 თებერვლისათვის 1.756 დედაცხვრიდან მიღებული ამდენივე ბატკანი შენარჩუნებულია, შალვა ბეჟაშვილის ბრიგადაში კი 450 დედაცხვრიდან 465 ბატკანი მიიღეს და შეინარჩუნეს.

— როგორაა საქმე ძია შაქრო! ცუდმა ამინდებმა ხომ არ შეგაწუხათ?—ვეკითხებით ამ ბრიგადის მოხუცებულ მწყემსს შ. იაკობიშვილს,—რომელიც 70 წლის ასაკშია და კვლავ მხნედაა.

— მძიმე ზამთარი დადგა, მაგრამ ჩვენ ვერ გვაშინებს იგი,—ამბობს მოხუცი,—ცხვარი ახალ კულტურულ ბინაში გვიდგა, ფარეხში შესვლისას წელში მოღუნვა აღარ გვჭირდება, წელგამლილები შევდივართ და მშობიარე ცხვარს უფრო კარგად ვაქცევთ ყურადღებას. საკმაო რაოდენობით გვაქვს უხეში და კონცენტრირებული საკვები. აი, 50 წელზე მეტია, რაც ცხვარში დავდივარ და ასეთი სალი დოლი ჯერ არ მახსოვს.

სოფელ გამარჯვების მეცხვარეები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის [illegible] ვლილი, მიმდინარე წელს გამოზარდონ 3.060 ბატკანი და გასულ წელთან შედარებით ერთნახევარჯერ გაადიდონ პროდუქტიულობა.

**მ. ნატროშვილი,**
გამარჯვების მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი.

НА ОТЧЕТНО-ВЫБОРНОМ СОБРАНИИ КОЛХОЗА

# Год трудовых успехов

На состоявшемся отчетно-выборном собрании колхозников сельскохозяйственной артели имени Микояна села Сабатло с докладом о проделанной работе выступила председатель колхоза т. Давтян.

С хорошими показателями закончили истекший год колхозники, славно потрудились они над выполнением задач, поставленных партией и правительством, направленных на дальнейший подъем сельского хозяйства страны. Со всей посевной площади пшеницы в среднем с каждого гектара получено по 16,5 центнера, вместо плановых 14 центнеров, на пять центнеров больше плановых получено ячменя и подсолнуха. Впервые в колхозе был проведен второй посев (пожнивной) кукурузы. Результаты оказались хорошими. С каждого гектара было получено по 18,2 центнера, против 12 центнеров, предусмотренных планом.

Хорошо зная о том, что прочная кормовая база является одним из условий успешного развития животноводства колхозники своевременно позаботились о том, чтобы заготовить нужное количество корма. В истекшем году было собрано и заскирдовано 17.420 центнеров соломы, 4.130 центнеров сена, заложено 8.150 центнеров си-[illegible] увеличение выпуска продукции животноводства колхоз поставил на стойловое содержание сто коров, что позволило увеличить надой молока по сравнению с прошлым годом вдвое.

За отчетный период в колхозе широко шагнуло вперед строительство. Построен коровник на сто голов, склад на 600 тонн вместимостью, гараж на девять машин, построены и пущено в ход лесопильный, черепично-кирпичный заводы. Заканчивается строительство культурной свинофермы на 65 голов.

Наглядным примером самоотверженного труда колхозников является денежный доход, который составил один миллион двести тысяч рублей. Только от животноводства получено 575 тысяч рублей.

За свой труд колхозники получают на один трудодень только пшеницы по 3,7 килограмма, по 500 граммов подсолнуха, по 2,5 рубля денег и другие продукты.

Но несмотря на имеющиеся успехи общее собрание резко критиковало правление колхоза, ревизионную комиссию за недостатки, которые ими были допущены в работе.

Как сказал в своем выступлении колхозник А. Арутманян, в колхозе не стоит на должном уровне трудовая дисциплина. В прошлом году 42 колхозника не выработали установленный минимум, а 25 из них не имеют ни одного трудодня. В это число в основном входят жены коммунистов и актива [illegible]

Правление колхоза,—сказал в своем выступлении шофер Ованесов,—мало внимания уделяет культурно-бытовым условиям колхозников. В селе нет клуба, а стало быть и кино не демонстрируется, нет бани.

Колхозник В. Асрян критиковал правление за то, что оно задерживает пуск электростанции.

Критикуя правление колхоза за имеющиеся недостатки колхозники дали строгий наказ ему исправить положение в самое короткое время, в частности быстро построить клуб и сдать в эксплуатацию электростанцию.

**Р. Марабян.**

# აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აგროზოოტექნიკური მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას კოლმეურნეობებში. ეს საკითხები კოლმეურნეთა ფართო მასებმა უნდა გაიცნონ და შეისწავლონ სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე, რომელიც რაიონის ყველა კოლმეურნეობაშია შექმნილი. მაგრამ ბევრგან ეს კურსები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ.

სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მიმდინარე სასწავლო წელს მეცადინეობას შეუდგა 2 ზოოტექნიკური და 2 აგრონომიული სამწლიანი კურსები.

აგრონომიული კურსების ხელმძღვანელებად დაინიშნენ გამოცდილი აგრონომები ნ. ერმაკოვი და ნ. ბერძნიშვილი, ხოლო ზოოტექნიკური კურსების ხელმძღვანელებად ახალგაზრდა ზოოტექნიკოსები მ. არჟანენკო და თ. რობიტაშვილი.

მოსალოდნელი იყო, რომ კურსები წარმატებით იმუშავებდნენ და კოლმეურნეები შეიძენდნენ ცოდნას, მაგრამ მოხდა პირიქით — კურსების მუშაობა ჩაშლის კარამდეა მისული.

აგროკურსის ხელმძღვანელმა ნ. ერმაკოვმა შემოწმებისას განაცხადა, რომ „მე მხოლოდ მთხოვეს დავხმარებოდი კურსებს, რომელსაც ნ. ბერძნიშვილი ხელმძღვანელობს, მეც შევადგინე კურსების მსმენელთა სია და გადავეცი მას“. გასაგებია თუ რა მუშაობა იქნება ჩატარებული ამ კურსებზე.

კურსებზე მეცადინეობა შემთხვევით ხასიათს ატარებს. მეცადინეობების დროს არ სწარმოებს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და მისი შესწავლა.

ზონის კოლმეურნეობის აგროზოოტექნიკური კურსების ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი აგროზოოტექნიკური კურსების მეცადინეობის სწორად მოწყობის შესახებ, წითლის მტს-მა თავის დროზე ჩაატარა და მათ მისცა სათანადო ლიტერატურა. მაგრამ სემინარზე მიღებული ინსტრუქტაჟი ბევრმა მათგანმა დაივიწყებას მისცა. აი, მაგალითად, როცა ვეკითხებით მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. სიდოროვსკის, თუ რატომ არ ღებულობს ზომებს აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის, მან განაცხადა: „როგორ! მე ხომ ვერ ჩავატარებ მეცადინეობას? კურსების ხელმძღვანელები კომუნისტები არიან და ეს საქმე მათ უნდა გააკეთონ“. ეს მართალია, მაგრამ როცა კომუნისტები არ ასრულებენ თავიანთზე დაკისრებულ მოვალეობას, არის თუ არა მოვალე პარტიული ორგანიზაცია პასუხი მოსთხოვოს ასეთ ამხანაგებს?

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობა სასახელოდ შრომობს, ბევრ მათგანს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს მოპოვებული ხორბლის, მზესუმზირასა და სიმინდის მოსავლიანობის გადიდების, მეფრინველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. რატომ არ შეიძლებოდა მათი მდიდარი გამოცდილების გაცნობა და შესწავლა კურსებზე?

სასწავლო წელი კურსების მუშაობაში დასასრულს უახლოვდება. საჭიროა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, მტს-ის სპეციალისტებმა, კურსების ხელმძღვანელებმა ძირფესვიანად გარდაქმნან და სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მუშაობა.

**მ. გოჩიტაშვილი.**

ჩვენი სიგნალის შემდეგ

# „ქათამი „ყურადღების“ ცენტრშია“

ჩვენი გაზეთის 1955 წლის 21 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით მოთავსებული იყო ფელეტონი, რომელიც ეხებოდა სოფელ არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში შექმნილ მდგომარეობას. წერილში აღნიშნული იყო, რომ ფერმაში დაბალ დონეზე დგას ზოოვეტმომსახურება და მოვლა-პატრონობა, რის გამოც ფრინველის დიდი რაოდენობა დაიხოცა.

პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეისწავლა ფერმაში არსებული მდგომარეობა.

ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი, რომელმაც მეფრინველეობის ფერმაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად კოლმეურნეობის გამგეობას და პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა საქმიანი ღონისძიება.

# აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო, და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო!

## მოწინავე მოსწავლეთა როლი კლასში

ჩვენი სკოლის მოსწავლე-ებს ღრმად აქვთ შეგნებული მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის უდი-დესი ზრუნვის მნიშვნელობა, რომელსაც დისციპლინის დღი-თიდღე განმტკიცებითა და მაღალი აკადემიური მაჩვენებ-ლებით პასუხობენ.

კლასში დისციპლინის გან-მტკიცებისა და აკადემიური მოსწრების საქმეში დიდ როლს ასრულებს კლასის წარჩინებულ მოსწავლეთა ჯგუფი. და მეც, როგორც ერთ-ერთი მოწინა-ვე მოსწავლე, ყველაფერს ვა-კეთებ იმისათვის, რათა დავეხ-მარო ჩამორჩენილ ამხანაგებს —ამაღლდენ მოწინავეთა დო-ნემდე.

გაკვეთილების შესწავლასა და სწორად გააზრებაში ხელს მიწყობს მასწავლებლისადმი ყურადღებით მოსმენა და ამხა-ნაგებთან ჯგუფური მეცადინე-ობა. ჩემთან ერთად მეცადი-ნეობენ ჩემი თანაკლასელები: ლ. ბალაშვილი, ტ. ბალაშვი-ლი, ზ. კიკოლაშვილი, მ. ალა-დაშვილი და სხვები. ჯგუფურ-მა მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. მაგალითად, მოს-წავლე ლ. ბალაშვილმა, რო-მელსაც პირველ მეოთხედში ტრიგონომეტრიაში არადამა-კმაყოფილებელი შეფასება ჰქო-ნდა, მეორე მეოთხედში ჩვენი დახმარებით კარგი შეფასება მიიღო.

კვლავაც აქტიურად დავეხ-მარები ჩამორჩენილ მოსწავ-ლეებს, ჩავუნერგავ მათ წიგნ-ზე მუშაობისა და საუკეთესო ყოფაქცევის ჩვევებს.

**მ. ცაკაშვილი,**
არბოშიკის საშუალო სკოლის X ა კლასის მოსწავლე.



სურათზე: სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები. ზემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ) ელგა ბიკაშვილი, დალი ბარამიშვილი, ნუნუ ზუბადალაშვილი, ნათელა პაპუაშვილი, მაყვალა ცაკაშვილი. ქვევით (მარცხნიდან მარჯვნივ) გივი ალადაშვილი, ქ. ალადაშვილი, თამარ ბალაშვილი, მირიან ტუხაშვილი და ომარ ბალაშვილი.

## მშობელთა კომიტეტის ინიციატივით

ნაყოფიერ მუშაობას ეწე-ვა არბოშიკის საშუალო სკოლის მშობელთა კომიტე-ტი. სასწავლო წლის დაწ-ყებისთანავე იგი მონდომე-ბით შეუდგა სწავლა-აღზრ-დის საქმეში მშობელთა როლის ამაღლებისათვის ბრძოლას. მშობელთა კო-მიტეტმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ჩა-მორჩენილი მოსწავლეების მიმართ. იგი გულდასმით ეცნობა მათს საყოფაცხოვ-რებო პირობებს, მშობლებ-თან ურთიერთობის საკითხს.

ამ ღონისძიების გატარე-ბის შედეგად გაიზარდა მშობელთა პასუხისმგებლო-ბა თავისი შვილებისადმი, გაუმჯობესდა მომთხოვნე-ლობა მათ მიმართ. ახლა სკოლაში ხშირად შეხვდე-ბით მშობლებს, რომლებიც ეცნობიან თავიანთი შვილე-ბის აკადემიურ მაჩვენებ-ლებს, დისციპლინის მდგო-მარეობას.

მშობელთა კომიტეტის ინიციატივით წელს 53 უდედმამო მოსწავლეს გა-ეწია მატერიალური დახ-მარება 5.700 მანეთის რა-ოდენობით. ბევრ მათგანს შევუძინეთ სახელმძღვანე-ლოები და სხვა სასწავლო ნივთები.

არბოშიკის საშუალო სკოლის მშობელთა კომი-ტეტი კვლავაც ენერგიუ-ლად იმუშავებს სკოლასა და ოჯახს შორის საქმიანი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

**ქ. ალადაშვილი,**
მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

## მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაცია

მოსწავლეთა კომუნის-ტური აღზრდის საქმეში უდიდესი როლი აკისრიათ სასკოლო მოსწავლეთა კომ-კავშირულ ორგანიზაციებს. არავინ ისე ახლოს არ დგას მოსწავლესთან, როგორც კომკავშირული ორგანიზა-ცია. თვითეული მოსწავლის სულიერი სამყაროს ღრმად შესწავლით, ყოველგვარი საქციელისადმი გულისხმი-ერი მიდგომით კომკავშირუ-ლი ორგანიზაცია ზრდის ახალგაზრდობას საზოგადო-ებისათვის სასარგებლო ადა-მიანებად, ნერგავს მათში ურთიერთ მეგობრობისა და პატივისცემის ღრმა გრძნო-ბას, შრომისადმი კომუნის-ტურ დამოკიდებულებას.

ამ ამოცანას კარგად ართ-მევს თავს არბოშიკის საშუ-ალო სკოლის მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზა-ცია, რომელიც 100-მდე საკ. ალკკ წევრს აერთიანებს. კომკავშირულ კრებებზე სის-ტემატურად იხილება დის-ციპლინის, აკადემიური მაჩ-ვენებლების მდგომარეობის საკითხები. მიმდინარე სას-წავლო წლის პირველ მე-ოთხედში სკოლაში 23 კომ-კავშირელი გვყავდა „ორო-სანი". კომკავშირულმა ორ-განიზაციამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა ჩა-მორჩენილობის აღმოსაფხ-ვრელად, სკოლის პედაგო-გიურ კოლექტივთან და პარ-ტიულ ორგანიზაციასთან ერთად კომკავშირმა არა ერთხელ იმსჯელა ჩამორჩე-ნილ მოსწავლეთა შესახებ. კომკავშირულმა კომიტეტმა მკტიცე კონტროლი დააწესა ჩამორჩენილ მოსწავლეთა მიმართ, ხშირად ვამოწმებ-დით, თუ როგორ ატარებდ-ნენ ისინი თავისუფალ დროს, უქმნიდით სწავლისათვის ხელსაყრელ პირობებს. კომ-კავშირულმა ორგანიზაციამ დიდი დახმარება გაუწია საკ. ალკკ წევრს ს. ოთარა-შვილს, რომელმაც მალე დასძლია ჩამორჩენა.

კომკავშირულ კომიტეტს თავის საქმიანობაში დიდ დახმარებას უწევენ კლას-ბიუროები, ისინი ოპერატიუ-ლად ხელმძღვანელობენ სკო-ლაში დისციპლინის დაცვის საქმეს, მოსწავლე აგიტატო-რების მუშაობას. კლას-ბიუროს მდივნები შ. ბალაშვილი, ნ. ჭრელაშვილი და ნ. სეფიაშვილი კარგი ავტორიტეტით სარგებლო-ბენ მოსწავლე ახალგაზრდო-ბაში, ისინი სწავლის საუკე-თესო მაგალითს უჩვენებენ კომკავშირელებს.

ჩვენი ორგანიზაცია ნაყო-ფიერ დახმარებას უწევს სკოლის პიონერ რაზმეულს. რაზმების ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან ავტო-რიტეტული კომკავშირელე-ბი.

ჩვენი სკოლის კომკავში-რელები კიდევ უფრო გა-აუმჯობესებენ თავიანთ მუ-შაობას. მშობლიური კომუ-ნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილე-ბებს ისინი იმით უპასუხებენ, რომ კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ სწავლაში მა-ღალი მაჩვენებლებისათვის, დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

**გივი ალადაშვილი,**
არბოშიკის საშუალო სკოლის მოსწავლეთა კომკავშირული კომიტეტის მდივანი.

## ფართოდ დავნერგოთ პოლიტექნიკური სწავლება

პოლიტექნიკური სწავლე-ბის ძირითადი ამოცანაა გააუ-მჯობესოს სწავლა-აღზრდის ხარისხი, მჭიდროდ დაუკავ-შიროს საპროგრამო მასალა პრაქტიკას, აღზარდოს მოსწა-ვლეებში შრომისადმი კომუნი-სტური დამოკიდებულების ჩვე-ვა.

საბჭოთა კავშირის კომუნის-ტური პარტიის XX ყრილო-ბამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა სკოლა, პედაგოგიური კოლექტივები. ყრილობამ აღ-ნიშნა, რომ მიუხედავად ერთ-გვარი წარმატებებისა, პოლი-ტექნიკური სწავლების საქმეში ჯერ კიდევ იგრძნობა სერიო-ზული ნაკლოვანებანი, ადგილი აქვს პოლიტექნიკური სწავლე-ბისადმი ფორმალურ დამოკი-დებულებას, ჯერ კიდევ სუსტია სწავლის კავშირი პრაქტიკას-

არბოშიკის საშუალო სკო-ლაში პოლიტექნიზაციის მხრივ ერთგვარი წარმატებებია მო-პოვებული. სასწავლო წლის დაწყებისთანავე აქ გაჩაღდა მუშაობა სასწავლო-სახელოს-ნოს მოწყობისათვის. კოლმე-ურნეობის ავტოპარკის მუშაკ-თა დახმარებით შევძელით ამ ამოცანის გადაჭრა. სახელოს-ნოს მოწყობის, მისი სასწავლო იარაღებით აღჭურვის საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია აგ-რეთვე გამარჯვების მტს-ის კოლექტივმა, რომელმაც უსა-სყიდლოდ გადმოგვცა წარ-მოებაში გამოუყენებელი სასო-ფლო-სამეურნეო მანქანა-იარა-ღები.

ამ ღონისძიების გატარების შემდეგ ჩვენმა მოსწავლეებმა გულდასმით მოჰკიდეს ხელი მანქანების შესწავლას. მოსწავ-ლეები ლ. სეხნიაშვილი, ა. ნა-ნობაშვილი, მ. ცაკაშვილი, ნ. ჭრელაშვილი და სხვები არა მარტო მანქანების მუშაობის პროცესებს იცნობენ, არამედ მათ შესწევთ აგრეთვე უნარი ტრაქტორის, ავტომანქანის მართვისა.

მოსწავლეებმა ამ დღეებში ინახულეს საკოლმეურნეო ელე-ქტროსადგური. მათ საინტე-რესო საუბარი ჩაუტარა ელექტრო-სადგურის მუშაობის შესახებ მექანიკოსმა გ. დათუ-კიშვილმა.

## № 3 რაზმეულში

**ვლადიმერ ილიას ძე ლენინის** სახელობის პიონერ-თა ორგანიზაციის მიზანია ბავშვები აღზარდოს კომუნის-ტური სულისკვეთებით, ჩაუნე-რგოს მათ ულრმესი ერთგუ-ლება საბჭოთა სამშობლოსად-მი, ბეჯითი სწავლის წყურვი-ლი, შეაჩვიოს ისინი საზოგა-დოებრივ სასარგებლო შრომას.

პიონერთა აღზრდის საქმე-ში დიდი როლი აკისრია კომ-კავშირს. და ჩვენც სწავლის დაწყების დღიდანვე რაზმის ხელმძღვანელებად შევარჩიეთ ისეთი კომკავშირელები, რომ-ლებსაც კარგად ეხერხებათ პიონერებთან მუშაობა.

რაზმის ხელმძღვანელებმა ნ. პაპუაშვილმა, მ. ცაკაშვილმა და ე. ბიკაშვილმა თავიდანვე ენერგიულად დაიწყეს მუშაო-ბა და საქმიანობა ისე წარმა-რთეს, რომ სკოლას დიდად ეხმარებიან სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების საქმეში.

არც რაზმეულის საბჭო ივიწ-ყებს აკადემიურად ჩამორჩე-ნილ და უდისციპლინო პიონე-რებთან მუშაობას. პირველ მე-ოთხედში რაზმეულის საბჭო-სადმი მიცემული პირობა პირ-ნათლად შეასრულეს პიონერე-ბმა ო. ბალაშვილმა და შ. კვაჭაძემ, რომლებსაც არცერთ საგანში არ აქვთ ორები და ახლა პირობა დადეს, რომ მათ რგოლში არცერთი ოროსანი პიონერი არ იქნება.

რაზმეული ისე წარმართავს მუშაობას, რომ სწავლა და საზოგადოებრივი შრომა მჭი-დროდ უკავშირდებოდეს ერთ-მანეთს. ჩვენი მიზანია აღმოვ-ფხვრათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და უფრო მა-ღალ დონეზე დავაყენოთ აკა-დემიური მოსწრება.

**თ. ჟუჟუნაშვილი,**
უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი.

პოლიტექნიკური განათლე-ბის ამოცანების განხორციელე-ბის საქმეში დიდი მნიშვნე-ლობა აქვს ფიზიკის შესწავლას. ჩვენთან პრაქტიკაში შემოვი-ღეთ, რომ ყოველი ახალი თე-მის დამუშავებისას ვახდენთ დაკვირვებებს, ვატარებთ ცდებს. ბავშვები ახლა ფიზი-კის კაბინეტისათვის მეტად საინტერესო ხელსაწყოებს ამ-ზადებენ, ხდება მათი ნამუშევ-რების დემონსტრირება.

პოლიტექნიკური სწავლების საქმეში მოპოვებული ერთგვა-რი წარმატებები საკმარისი არ არის. ჩვენთან ჯერ კიდევ არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც ჩამორჩებიან მან-ქანათმცოდნეობის შესწავლის საქმეში.

საჭიროა დაძლეულ იქნეს ეს ნაკლოვანება და მომავალში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მოსწავლე წარმატებ-ით ფლობდეს მანქანათმცოდ-ნეობის დარგს. ამას მოი-თხოვს მშობლიური კომუნის-ტური პარტიის XX ყრილო-ბის გადაწყვეტილებანი.

**მ. ნადირაშვილი,**
ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი.